საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-08/453

ქ. ბათუმი 01 ოქტომბერი, 2020 წ.

ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულ ჯავიდ კაჯაროვის ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის,47³-ე მუხლის, 52-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანების, ,,2019 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 16 სექტემბრის №01-08/425 ბრძანების, ,,ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად სერტიფიკატების გაცემის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 30 ივლისის №01-08/335 ბრძანების, ჯავიდ კაჯაროვის 2020 წლის 04 აგვისტოს MES 3 20 0000662589 განცხადებისა და ბსუ-სა და ჯავიდ კაჯაროვს შორის დადებული 2020 წლის 09 სექტემბრის №25-15/21-2005/ბ ხელშეკრულების, ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 17 სექტემბრის MES 7 20 0000849126 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული ჯავიდ კაჯაროვი (პ/ნ) 2020-2021 სასწავლო წლიდან ჩაირიცხოს ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.
2. ბრძანება აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.
3. ბრძანება დაეგზავნოს საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტს და ჯავიდ კაჯაროვს, ასევე განთავსდეს მის პირად საქმეში.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის №30).

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**